საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალის ქ. №25-ის მიმდებარედ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი (ს.კ. 01.10.06.014.072) საინჟინრო-გეოლოგიური პირობები"

შ.პ.ს. „მალუგი"-ს თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალის ქ. №25-ის მიმდებარედ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს.კ. 01.10.06.014.072) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალის ქ. №25-ის მიმდებარედ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელი ინჟ.-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული ქანების თვისებათა გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება და მიწერილობა ..... 1 გვ.
3. კომპრესია და ჭრის გრაფიკები ..... 6 გვ.
4. ცხრილი გრუნტის თვისებებზე ..... 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე დასკვნით ..... 4 გვ
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 1 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება

საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 55 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხა, ხვინჭის 10% მ-მდე ჩანართებით.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მიცემულია თიხების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ავტორი აღნიშნავს, რომ თიხები უნდა იყოს გამოყენებული ფუძე-გრუნტებად, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიურ პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 7,5-11,2 მ სიღრმეზე. დამყარებული დინე 7.0-10.2 მ. წყალი ამჟღავნებს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიულობას სხადასხვა ცემენტიდან დამზადებულ ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალის ქ. №25-ის მიმდებარედ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანზე (ს.კ. 01.10.06.014.072) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებულ იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკის მეცნ. დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე